

პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის საქმიანობის ანგარიში

საანგარიშო პერიოდი: 2019 წლის იანვარი-დეკემბერი

პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი დაფუძნდა 2018 წლის 5 ოქტომბერს.

ცენტრი საქმიანობას წარმართავს შემდეგი მიმართულებებით:

- ა) ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვა;
- ბ) უწყვეტი განათლება.

პროფესიული პროგრამების მართვის მიმართულებით ცენტრის მიზნებია:

- ა) მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის შესაძლებლობის, სწავლების მრავალსაფეხურიანობისა და მრავალფეროვნების გათვალისწინებით, ერთიანი პროფესიულ-საგანმანათლებლო სივრცის შექმნაში მონაწილეობის მიღება;
- ბ) ინდივიდის პროფესიული განვითარების, შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადების უზრუნველყოფის ხელშეწყობა;
- გ) საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში შესაბამისი დარგის დამსაქმებლების მონაწილეობის ხელშეწყობა.

ცენტრმა საქმიანობა დაიწყო არსებული სიტუაციის ანალიზისა (SWOT ანალიზი) და დაგეგმვის პროცესით, რაც საბოლოო ჯამში ითვალისწინებდა ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით გრძელვადიანი და მოკლევადიანი სამოქმედო გეგმების შედგენას.

ძლიერი მხარეები:

- უნივერსიტეტის მზარდი ცნობადობა და ერთ-ერთი წამყვანი პოზიცია საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მრავალწლიანი გამოცდილება;
- პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული მაღალი დარგობრივი კომპეტენციების მქონე პროგრამების განმახორციელებელი პერსონალი;
- თანამშრომლობა დამსაქმებლებთან და/ან პროფესიულ ასოციაციებთან;
- თანამედროვე მოთხოვნებისა და სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურა, ადაპტირებული გარემო, სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისადმი საზოგადოების ინტერესის ზრდა;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი;
- სახელმწიფო დაფინანსება.

გამოწვევები:

- საზოგადოების ინფორმირების საშუალებების სიმწირე;
- დარგობრივი კომპეტენციებისა და პედაგოგიური გამოცდილების თანხვედრის სიმწირე;
- დამსაქმებელთა დაბალი ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პროცესში;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის და პროფესიული სტუდენტების ენობრივი ბარიერი;
- პროფესიული პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო მეთოდური ლიტერატურის (განსაკუთრებით ქართულენოვანი) სიმწირე.

მთავარი გამოწვევა იყო ბსუ-თვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხი.

შესაძლებლობები:

- რეგიონის საჭიროებებზე მორგებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/განხორციელება;
- საერთაშორისო საგრანტო პროექტების მეშვეობით დაფინანსების ახალი წყაროების მოძიება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განახლება/ახალი პროგრამების შემუშავება;
- პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების შემუშავება/განხორციელება.

საფრთხეები:

- ადგილობრივ დონეზე პროფესიული განვითარების ნაკლები შესაძლებლობა;
- პროფესიული განათლების სფეროს საკანონმდებლო მარეგულირებელი აქტების ხშირი ცვლა.

მიღებული SWOT ანალიზის საფუძველზე ცენტრის პერსონალმა პროფესიული განათლების მასწავლებლების, პროფესიული სტუდენტებისა და დამსაქმებლების ჩართულობით შეადგინა „ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) გეგმა“ და „ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით განვითარების ერთწლიანი გეგმა“. აღნიშნული დოკუმენტები დაამტკიცა ბსუ-ს აკადემიურმა საბჭომ და განთავსდა ბსუ-ს ვებ გვერდზე.

საანგარიშო პერიოდში ბსუ ახორციელებდა 10 მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. აღნიშნული პროგრამების ნაწილი მიღევად რეჟიმშია შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტების გაუქმების გამო. პროფესიულ სტუდენტთა მისაღები რაოდენობა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განისაზღვრა 563 პროფესიული სტუდენტით.

2019 წლის საგაზაფხულო მიღებაზე ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 71 ჩაირიცხა სტუდენტი, ხოლო 2019 წლის შემოდგომის მიღებაზე - 76 პროფესიული სტუდენტი. სულ 2019 წლის განმავლობაში ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები დაასრულა - 223 პროფესიულმა სტუდენტმა. კურსდამთავრებულთა ნაწილი დასაქმდა პრაქტიკის ობიექტებზე, ნაწილი სხვადასხვა საწარმოებში, ხოლო ნაწილი ჯერ კიდევ სწავლის პერიოდში იყო დასაქმებული.

პროფესიული განათლების მიმართულებით არსებული გამოწვევის აღმოფხვრის მიზნით ცენტრმა შემდეგი აქტივობები განახორციელა:

- **შემუშავდა ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით საკანონმდებლო რეგულაციები. კერძოდ:**

1. შემუშავდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელების და შეფასების სისტემა
 - 1.1. ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი;
 - 1.2. ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
2. შეიქმნა სასწავლო პროცესის მონიტორინგის მექანიზმები
 - 2.1. „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;

2.2. „ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საწარმოო პრაქტიკის განხორციელების წესი“

3. შემუშავდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა პერსონალის შერჩევის, მოწვევისა და დატვირთვის მექანიზმები

3.1. „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესი“

და ა. შ.

- ცენტრმა მოამზადა ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ავტორიზაციის პროცესისათვის. 2019 წლის თებერვალში ბსუ-ში განხორციელდა ექსპერტთა ვიზიტი, ხოლო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებით ბსუ-ს მიეცა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზის მიზნით ჩატარდა კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევა და შეხვედრები იმ საწარმოებთან და ორგანიზაციებთან, ვისთანაც ბსუ-ს გაფორმებული აქვს მემორანდუმი; სისტემატიურად ხდებოდა სხვა პოტენციურ დამსაქმებლებთანაც შეხვედრა.
- მოხდა არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გადახედვა მათი განხორციელების რელევანტურობის თვალსაზრისით; ჩატარდა შეხვედრები უნივერსიტეტის დარგობრივ დეპარტამენტებთან, სამეცნიერო კვლევით-ინსტიტუტებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, დამსაქმებლებთან სამუშაო ჯგუფების შექმნის მიზნით. შემუშავდა ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:
 1. ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა;
 2. საფინანსო სერვისები;
 3. ბუღალტრული აღრიცხვა;
 4. მეფუტკრეობა;
 5. ტელეკომუნიკაცია;
 6. ელექტროობა 1
 7. ელექტროობა 2
 8. სატყეო საქმე;
 9. მებაღეობა

აღნიშნული პროგრამებიდან ოთხი (ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა; საფინანსო სერვისები; ბუღალტრული აღრიცხვა; მეფუტკრეობა) უკვე ავტორიზებულია და იგეგმება 2020 წლის საგაზაფხულო მიღება.

- შემუშავდა და ავტორიზაცია გაიარა პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებმა. კერძოდ, უსაფრთხოების წესების დაცვა იატაკისა და ფილების დაგების სამუშაოების შესრულებისას; უსაფრთხოების წესების დაცვა სამშენებლო კონსტრუქციების აწყობისას.

- ბსუ აქტიურად ჩაერთო „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამაში“.
აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ბსუ-მ სოციალურ სააგენტოსთან თანამშრომლობით 2019 წლის გაზაფხულსა და შემოდგომაზე განახორციელა შემდეგი მოკლევადიანი პროგრამები:
 - ვებ პროგრამირება;
 - მეფუტკრე;
 - ბულალტრული აღრიცხვა;
 - ბაგა ბაღის აღმზრდელი;
 - ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების დიაგნოსტიკოს-შემკეთებელი პროგრამის ფარგლებში გადამზადდა სულ 93 მსმენელი.
- ბსუ ჩაერთო *სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების “ქვეპროგრამაში”*.
აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ბსუ-ში მომზადდა ვებპროგრამირების სასწავლო კურსი სკოლის მოსწავლეებისათვის. პროგრამაში ჩაერთო ქედის, ხელვაჩაურის და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტების 11 სკოლა. სასწავლო კურსი გაიარა 48 მოსწავლემ. პროგრამის დასრულების შემდგომ მოსწავლეებს გადაეცათ სერტიფიკატები. მონაწილე სკოლებს კი - კომპიუტერული ტექნიკა, პრინტერები, პროექტორები.
- პროფესიული განათლების მასწავლებლის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ცენტრმა შემდეგი სამუშაო გასწია. კერძოდ, ბსუ-ს პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა „პროფესიული განათლების მასწავლებელთა და დირექტორთა განვითარების სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში დამტკიცებული პედაგოგიური პროგრამის კურსი განახორციელა. 5 სასწავლო მოდულისაგან შემდგარი პედაგოგიური პროგრამის სრული კურსის დასრულების შემდეგ მსმენელებს გადაეცათ პროფესიული განათლების მასწავლებლის სერტიფიკატები.
ბსუ-ს პროფესიული განათლების მასწავლებლები კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მონაწილეობდნენ სხვადასხვა სახის შეხვედრებსა და ტრენინგებზე:
 - ტრენინგი დუალური პროფესიული პროგრამის სასწავლო გეგმასა და მეთოდებზე (26 იანვარი 2019 წელი);
 - ტრენინგი პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის (18 თებერვალი 2019 წელი);
 - ტრენინგი „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების ხელშეწყობა“ (26-30 ივლისი - 1 აგვისტო 2019 წელი);
 - ტრენინგი მოდულური/დუალური პროგრამების განხორციელების შეფასების საკითხებზე (12-14 აგვისტო 2019 წელი);
 - ხარისხი და მეთოდოლოგიური მიდგომები პროფესიულ განათლებაში (9-10 ოქტომბერი 2019 წელი, მაინცის უნივერსიტეტის პროფესორი მარკუს ბონერი);
 - 2019 წლის 11-18 თებერვალს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეფუტკრე“ პროფესიული მასწავლებელი მანანა ბოლქვაძემ მადრიდის სავაჭრო პალატის მიწვევით ესპანეთში მეფუტკრეობის გადამზადების კურსი გაიარა.
- ბსუ-ს სსსმ პროფესიული სტუდენტებისათვის შეიქმნა სოციალურ-ინკლუზიური სასწავლო გარემო. კერძოდ, სსსმ სტუდენტის ხელშეწყობის მიზნით მოწვეულია ინკლუზიური განათლების მასწავლებელი და სსსმ სტუდენტის ასისტენტი. 2019 წელს ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 5 სსსმ პროფესიული სტუდენტი სწავლობს.

- აქტიურად მიმდინარეობდა სასწავლო ფართის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოწყობაზე მუშაობა. კერძოდ, ჩატარდა სტუდენტებთან შეხვედრა და მოხდა მათი მოსაზრებების მოსმენა გარემოს მოწყობასთან დაკავშირებით; ცენტრის პერსონალი აქტიურადაა ჩართული ახალი სასწავლო კორპუსის მოწყობის პროცესში.
- შემუშავდა პროფორიენტაციის მექანიზმები. კერძოდ, სისტემატურად ხორციელდებოდა ვიზიტები სკოლებში, ინფორმაცია ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ შუქდებოდა მედიის საშუალებით, ვრცელდებოდა სარეკლამო ფლაერები და ა.შ.
- შეიქმნა ბსუ-ს ვებ გვერდზე პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის საინფორმაციო გვერდი.

წარმოდგენილი ანგარიშის ფარგლებში ჩატარებული აქტივობების ამსახველი ყველა ინფორმაცია განთავსებულია ბსუ-ს ვებ გვერდზე.